

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრის საქმიანობის წარდგენისა და ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრის
ანგარიში**

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - გოჩა გორგილაძე.

თანამდებობის დასახელება - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია „ქართული ოცნება“.

კომისი(ებ)ის დასახელება - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - პროპორციული. ქედის N80 საარჩევნო ოლქი;

საანგარიშო პერიოდი 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 15 სექტემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი;

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18;

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 16;

2. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3;

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3;

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 4.

3. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის გოჩა გორგილაძის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ინიცირებულია ორი საკითხი.

4. ინიცირებული საკითხიდან მიღებულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - დადგენილებები;

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ანუ 2017 წლის 20 ნოემბრიდან დღემდე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განხილულია 163 საკითხი, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა 142 საკითხს და დადებითად გადაწყდა, ხოლო 6 საკითხს მხარი არ დაუჭირა.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა:

საანგარიშო პერიოდში მიღებული ყავს 131 მოქალაქე;

შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: 300-მდე.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხებია:

ინფრასტრუქტურა, სოციალური მდგომარეობა, დასაქმების პრობლემები, შეწყვეტილი სოციალური დახმარება და ა.შ.

7. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები:

სოფელ კვაშტაში ლევან ბერიძის საცხოვრებელ სახლთან ჩაისვა მაღალგამტარობის მილი და მოეწყო ჯებირი. ამავე სოფელში კერძოდ გორგილაძეების უბანში გაკეთდა 180 მეტრი სიგრძის საწრეტი წყლის არხი. გათენაძეების უბანში დაეგო 80 კუბამეტრი ბეტონის საფარი. სოფელ სირაბიძეების მკვიდრ ჯამბულ ბერიძის სახლთან გაკეთდა 12 მეტრი სიგრძის გაბიონი და წყლის არხი.

8. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

მონაწილეობას ღებულობს არაერთ ღონისძიებაში, რომელიც მუნიციპალიტეტისათვის არის ძალზედ მნიშვნელოვანი, სისტემატიურად აწყობს შეხვედრებს მოსახლეობასთან ეცნობა მათ საჭირობოროტო საკითხებს, ეცნობა სოფლებში ადგილობრივი ბიუჯეტით დაგეგმილი და გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების მუშაობას და ითვალისწინებს სამომავლოდ დასაგეგმ პროექტებს.

შეხვედრის თარიღი: 17.09.2018 წელი

წარდგენის თარიღი: 17.09.2018